ამონარიდი სტატიიდან:

აღსანიშნავია ფაქტი, რომ მედიცინის ფაკულტეტზე უკვე 2010 წელს გაჩნდა იდეა ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის წევრი საფაკულტეტო ორგანიზაციის ჩამოყალიბებისა EMSA TSU -ს სახით. სტუდენტების ამ ინიციატივას მიესალმა და მხარში ამოუდგა მედიცინის ფაკულტეტის დეკანატი, განსაკუთრებით ფაკულტეტზე არსებული სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახური და რაც მთავარია უნივერსიტეტის ადმინისტრაცია. ახლად ჩამოყალიბებული EMSA TSU-ს პირველი, ერთი წლის ვადით არჩეული გამგეობა სწორედ ორგანიზაციის დამფუძნებლებმა დააკომპლექტეს. გამგეობის შემადგენლობა შემდეგია: პრეზიდენტი - ნ. ცინცაძე (მე-4 კურსი), გენერალური მდივანი - გ. ტაბაღუა (მე-5), აღმასრულებელი დირექტორი - ა. კვერნაძე (მე-3), ფინანსური მენეჯერი - გ. მარგიანი (მე-5), ვიცე-პრეზიდენტი საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში - ნ. მაღრაძე (მე-3), ვიცე-პრეზიდენტი აკადემიური საქმიანობის სფეროში - ვ. ტატიშვილი (მე-4), ვიცე-პრეზიდენტი სემინარებისა და კონფერენციების დარგში - გ. ქურიძე (მე-4), ვიცე-პრეზიდენტი სტუდენტთა გაცვლითი პროგრამების დარგში - ლ. დუდუჩავა (მე-4), ვიცე-პრეზიდენტი კლინიკური პრაქტიკის დარგში - ა. ხუციშვილი (მე-4).

" ჩვენ როგორც ემსა თსუ-ს დამფუძნებლები ვამაყობთ იმით, რომ ვართ კავკასიის რეგიონში დაარსებული პირველი უნივერსიტეტის სტუდენტები და სწორედ აქ ვეუფლებით ჩვენს პროფესიას. ახლა უკვე გვაქვს საფუძველი ვიამაყოთ იმითაც, რომ სწორედ ჩვენი სტუდენტობის პერიოდში გახდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტი ევროპის მედიკოს სტუდენთა ასოციაციის წევრი. ვფიქრობ ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანია, რამეთუ სწორედ მედიცინაა ის დარგი, რომლის განვითარებისთვის აუცილებელია თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის საერთაშორისო დონეზე გაზიარება. ემსა თსუ-ს ჩამოყალიბები პირველი ნაბიჯია და გვაქვს იმედი, რომ გავამართლებთ ჩვენს მიზნებს ." - ემსა თსუ-ს პირველი გამგეობა.

რას წარმოადგენს EMSA (ემსა)?

ევროპის მედიკოს სტუდენტთა წარმომადგენელი ორგანიზაციის ჩამოყალიბების იდეა გაჩნდა 1990 წელს ქ. ლოვენში,ბელგია ჩატარებულ სიმპოზიუმზე, რომელსაც ევროპის თითქმის ყველა ქვეყნიდან წარმოდგენილი სტუდენტები ესწრებოდნენ. 1991 წელს ქ. ბრიუსელში, ბელგია, ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია ჩამოყალიბდა ასოციაციის

პირველი გამგეობის მიერ. აღნიშნული ასოციაცია დაფუძნებულ იქნა ბელგიის მეფე ბონდუინ I-ის პატრონაჟით, ფინანსური მხარდაჭერა კი ემსა-ს გაუწია ევროპული გაერთიანების პროგრამამ - ერასმუსი. მას შემდეგ ემსა გაფართოვდა და დღესდღეობით აერთიანებს 24 ქვეყნის საფაკულტეტო ორგანიზაციას. ამასთან ერთად ემსა აქტიურად თანამშრომლობს ევროპის გარეთ არსებობულ მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან.

ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაცია, როგორც ხიდი მთელი ევროპის მედიკოს სტუდენტთა შორის, ცდილობს სამედიცინო განათლების მიმართულებაში, სამედიცინო ეთიკის სფეროში, მედიცინის სამეცნიერო სამყაროში და ევროპის ენტეგრაციის მიმართულებაში არსებული ცოდნა გაავრცელოს ევროპის მასშტაბით და ამით თავისი წვლილი შეიტანოს ევროპის ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებაში.

ემსა-ს არსებობა ემსახეურება შემდეგ მიზნებს:

- ევროპის მედიკოს სტუდენტთა გაერთიანება, და მედიცინის სფეროში ევროპული ერთობის შეგრძნების დანერგვა;
- მთელი ევროპის მედიკოს სტუდენტების შეხედულებებისა გახმოვანება;
- შეასრულოს ევროპის მთელი მასშტაბით ფორუმის ფუნქცია სტუდენტებისთვის, რათა მოხდეს ერთობლივი განხილვა იმ საკითხებისა, რომელიც ეხება სამედიცინო ეთიკას, სამედიცინო მეცნიერებას, სამედიცინო განათლებასა და ევროპაში ინტეგრაციას;
- გაავრცელოს უმაღლესი სამედიცინო განათლების სტანდარტები მთელი ევროპის მასშტაბით და იზრუნოს ჯანდაცვის სფეროს განვითარებაზე ევროპაში;
- ევროპის მედიკოსი სტუდენტებისა და გარშემო მყოფი საზოგადოების ჩართვით მოაწყოს სხვადასხვა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ღიონისძიება, განახორციელოს ამ პროფილის პროექტები და აქციები;
- უზრუნველყოს ევროპის სხვადასხვა ქვეყნის კულტურის გაცნობა ასოციაციის წევრებისთვის და ამის შესაბამისად მოაწყოს საერთო შეხვედრები და სხვადასხვა ღონისძიება;
- ითანამშრომლოს სხვა სტუდენტურ ორგანიზაციასთან და სხვა ევროპის სამედიცინო პროფილის ორგანიზაციებთან და იყოს ევროპის მედიკოს სტუდენტთა წარმომადგენელი მათთან.

<u>ემსა თსუ-ს მიზნები და საქმიანობა.</u>

ორგანიზაციას გააჩნია შემდეგი მიზნები, რომლებიც არ არის ანგარებიანი:

- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტების გაერთიანება და მათი უფლებების დაცვა (სამკურნალო საქმე, სტომატოლოგია, ოკუპაციური თერაპია);
- ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტების შეხედულებების გახმოვანება და წარდგენა უნივერსიტეტის მმართველობისთვის(ფაკულტეტის დეკანატისთვის);
- ფაკულტეტზე სხვადასხვა სამეცნიერო ხასიათის საქმიანობა (კონფერენციები, სემინარები, სამედიცინო ლიტერატურის პრეზენტაცია, დისკუსიები სხვადასხვა თემებზე);
- ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის გარეთ არსებულ მედიცინის სხვა ფაკულტეტის სტუდენტთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობა;
- მსოფლიო მასშტაბით გაცვლითი პროგრამების გახორციელება;
- ქვეყნის მასშტაბით და მის გარეთ არსებულ სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებსთან, გაერთიანებასთან, არასამთავრებო ორგანიზაციასთან თანამშრომლობა და მათთან ერთად სხვადასხვა პროექტის გახორციელება;
- მედიცინის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აუცილებელი სხვა პროექტების დაგეგმვა და გახორციელება მათთვის თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის გაღრმავების მიზნით;
- ქვეყნის საგანმანათლებლო და ჯანდაცვის რეფორმაში აქტიური მონაწილეობის მიღება.